



მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

<p>ებრაული გაზეთი საქართველოში</p> <p>MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA</p>	<p>“מנורה” עיתון יהודי בגורגיה</p>	<p>“МЕНОРА” ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ</p>
--	--	---

ივლისი
(თაშუაზი)
16-31
№14 (278)
(5768 ნაწილი)
2008 წელი
ფასი 50 თეთრი

מנורה



საქართველოს მთავარი რაზინის — არიელ ლევინისაგან მიღებული ინფორმაციით, „ჯონთმა“ გადაწყვიტა თავადვე გამოასწოროს თავისივე შეცდომა — უახლოეს ხანს გახსნას თბილისის ებრაული სათემო სახლი.

დსთ-ს ქვეყნებში „ჯონთის“ კურატორის მოადგილის — ელი მალქის თანამდებობიდან წასვლით (აგვისტო) როგორც ჩანს, „ჯონთში“ მთავრდება

ის კონფლიქტური სიტუაციები, რომლებშიც ამ ბოლო ხანს იგი მოექცა დსთ-ს ზოგიერთ ქვეყანაში.

„მენორა“ გულითადად მიესალმება „ჯონთის“ ამ გადაწყვეტილებას. თბილისის ებრაულ თემს, ებრაულ სათემო სახლთან თანადგომის კომიტეტს ულოცავს სათემო სახლის მოახლოებულ ამოქმედებას.

პალესტინის მოსახლეობის აღწერის თაობაზე

იაკობ ფაიტელსონი

2008 წლის 9 თებერვალს პალესტინის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს (პცსბ) დირექტორმა ლუი შაბანემ 2007 წლის დეკემბერში ჩატარებული პალესტინის მოსახლეობის აღწერის შედეგები გამოაქვეყნა. აღწერის მონაცემების თანახმად მოსახლეობა 1997 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით 30%-ით გაიზარდა და 3.760.000 ადამიანს შეადგენდა. მათგან 1460000 ლაზაში ცხოვრობს, იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე (იუდეასა და სამარიამი) კი — 2.300.000.

ზემოთ ხსენებული აღწერის მონაცემებმა ისრაელში დემოგრაფიული პანიკის ახალი აზვითება გამოიწვია. განახლდა ცხარე კამათი ისრაელის ქვეყანაში ებრაული სახელმწიფოს მომავალზე. თუმცა, იმავდროულად, წარსული დროებისგან განსხვავებით, მსოფლიო და ისრაელურ პრესაშიც კი პალესტინელი მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიმართ უნდობლობის ნოტები გაჟღერდა.

ეს კანონზომიერიც გახლავთ, თუკი ბოლო 20 წლის განმავლობაში იუდეის, სამარიისა და ლაზას მოსახლეობის დემოგრაფიული შეფასების მოკლე ისტორიას გავეცნობთ.

1986 წლის 11 მაისს პროფესორმა რობერტო ბაკიმ ისრაელის მთავრობას დემოგრაფიული პროგნოზი წარუდგინა, რომლის თანახმადაც 2000 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობას უნდა შეადგენდა 4 100 000 ებრაელს და 3 100 000 არაბს. მათგან 1 200 000 არაბი ისრაელის მოქალაქე იქნებოდა. გამოითქვა ვარაუდი, რომ იუდეის, სამარიისა და ლაზას არაბთა რიცხოვნობა 1 900 000 ადამიანს მიაღწევდა.

ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს (იკსბ) 1986 წლის პროგნოზის მიხედვით, ნავარაუდები იყო, რომ 2002 წლისთვის იუდეის და სამარიის მოსახლეობა დაახლოებით 1 429 000 ადამიანამდე გაიზარდებოდა, ლაზაში კი — 741 000-დან 992 000-მდე. აქედან გამომდინარე, ამ რეგიონების არაბული მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 1 800 000-დან 2 421 000-მდე უნდა ყოფილიყო.

1987 წლის ივნისში ჰაიფას უნივერსიტეტის გეოგრაფიის პროფესორმა არნონ სოფერმა განაცხადა, რომ 2000 წელს ისრაელის სახელმწიფოში იცხოვრებს „4 200 000“ ებრაელი და 3 500 000 არაბი, რომელთაგან 1,2 მილიონი ისრაელელი არაბი „მწვანე ზოლის“ შიგნით, კიდევ მილიონი ლაზას სექტორში და 1,5 მილიონამდე არაბი დასავლეთ სანაპიროზე. გაზეთ „ედითთ ახრონოთში“ გამოქვეყნებულ

სტატიას სათაურად პროფესორ სოფერის ციტირებული ფრაზა ჰქონდა: „2000 წელი: ისრაელი — არაებრაული სახელმწიფო.“

1987 წლის აგვისტოს პროფესორმა სოფერმა განმარტა, თუ რას ეფუძნებოდა მისი პესიმისტური პროგნოზი: „ყოფილი რომ არ ვიქნებოდი მომავალში შობადობის კოეფიციენტები, თუნდაც ერთი პროცენტით რაოდენობის გასაზრდელად, დღეისათვის საჭირო იქნებოდა 170 000 ებრაელი. რომელიმე ჩვენგანს შეუძლია რეალურად იქონიოს იმედი უახლოეს მომავალში ალიის ასეთი მასშტაბების არსებობისა?“

ამ განცხადებიდან ორწლიანხვედრის შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დაწყებული მასობრივმა ალიამ სრულიად სხვა რეალობის წინაშე დაგვაცენა. 1990 წლიდან 2000 წლამდე ისრაელის ებრაული მოსახლეობა 1 მილიონზე მეტი ადამიანი შეივსო, ხოლო თუ შერეული ოჯახების ნევრებსაც მივათვლით, მაშინ საკმაოდ სოლიდური ციფრი გამოგვივა — 1 233 915, რაც იმას ნიშნავს, რომ ზრდამ 31 პროცენტს გადააჭარბა.

1997 წლის დეკემბერში პალესტინის ეროვნულმა ადმინისტრაციამ თავის პირველი დამოუკიდებელი აღწერა ჩაატარა მოსახლეობისა. ამ აღწერის მონაცემებით, პალესტინური მოსახლეობის რაოდენობა 1997 წლის ბოლოსათვის 2.895.693 ადამიანს შეადგენდა. ამ რაოდენობაში შედიოდა აღმოსავლეთ იერუსალიმის 210.209 მაცხოვრებელი, უკვე აღწერულნი ისრაელის მოქალაქეთა აღწერისას, და კიდევ 325.253 კაცი, ემიგრირებული პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის კონტროლირებადი ტერიტორიიდან. ისინი საერთაშორისო ნორმების თანახმად არ ექვემდებარებოდნენ აღრიცხვას. ამრიგად, პალესტინის მოსახლეობა ამ აღწერის მიხედვით სინამდვილეში შეადგენდა 2.360.231 ადამიანს. რადგანაც იცსბ-ს მონაცემებით 1993 წლის ბოლოსთვის იუდეის, სამარიის და ლაზას მოსახლეობის რაოდენობა 1.832.800 იყო, მაშინ გამოდიოდა, რომ სულ რაღაც 4 წელიწადში ის 527.431 ადამიანი ანუ 29 პროცენტით გაიზარდა. მსგავსი ფენომენის მისაღწევად მოსახლეობის ზრდის საშუალო გეომეტრიულ ტემპებს დროის ამ მონაკვეთისათვის უნდა შეედგინა 6,6% წელიწადში!

საინტერესო აქ ის გახლავთ, რომ ზრდის ტემპების ეს შეფასებანი ავტომატურად გაგრძელდა 2004 წლამდე, ანუ ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობამ 400.000

მოიმატა. ამ მონაცემებს თუ დავუჯერებთ, 11 წელიწადში (1993-2004 წ.წ.) პალესტინის მოსახლეობა გაორმაგებულა, რაც შეესაბამება ზრდის იმავე ტემპს — 6,6%-ს წელიწადში.

თუმცა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით პალესტინის მოსახლეობის ზრდის საშუალო ტემპი 1995 წლიდან 2000 წლამდე 3,7% იყო წელიწადში. გაეროს იმავე მონაცემებით, ეს ტემპი 2000 წლიდან 2005 წლამდე 3,56%-მდე შემცირდა. უფრო მეტიც, 2005 წლიდან მან 3,02% შეადგინა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ცეროს ეს შეფასება ეყრდნობოდა პცსბ-ს აშკარად ანეულ მონაცემებს და არ ითვალისწინებდა მუდმივ არაბულ ემიგრაციას იუდეიდან, სამარიიდან და ლაზადან.

ამიტომაც მსგავსი ფენომენის რეალურ ახსნად შეიძლება ჩაითვალოს ის მოსაზრება, რომ 1987 წელს 2000 წლისათვის ნაწინასწარმეტყველები ისრაელის ქვეყნის მთელი არაბული მოსახლეობის მაქსიმალური საერთო რაოდენობა (3.500.000 კაცი) მიენერა მხოლოდ იუდეის, სამარიისა და ლაზას სექტორის მცხოვრებთ.

2003 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის კონტროლირებადი ტერიტორიებზე არაბული მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია თითქმის 1 მილიონი „მკვდარი სულით.“ რაღაც უცნაური დამთხვევის წყალობით ეს ციფრები თითქოს ერთგვარ კონპენსაციას წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა მასობრივი ალიის ისრაელში დროის ზუსტად ამ მონაკვეთში. როგორ გაჩნდნენ ეს „მკვდარი სულები?“ მაგალითად, აღმოსავლეთ იერუსალიმის მკვდართა ორმაგი გადათვლის შედეგად: ერთხელ, როგორც ისრაელის მცხოვრებლებისა და მეორედ, როგორც პალესტინური ტერიტორიების მკვიდრთა. სხვა მაგალითებად მსგავსი მანიპულაციებისა შეიძლება დავასახელოთ იმ პალესტინელ ემიგრანტთა აღრიცხვა, რომლებიც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ. ეს კი ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო ნორმებს, რომლებსაც ისრაელიც ცნობს.

ეს დასკვნა დადასტურებულ იქნა 2005 წლის იანვარში ამერიკა-ისრაელის სამეცნიერო ჯგუფის მიერ. ჯგუფი პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მართულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა

დემოგრაფიული კვლევით იყო დაკავებული. მათი მონაცემებით იუდეისა და სამარიის არაბული მოსახლეობა 2000 წლისთვის შეადგენდა 1.280.000, ხოლო ლაზას სექტორისა — 966.000 კაცს, საერთო რაოდენობა 2.246.000 იყო. ეს მონაცემები 7%-ით მართალია მინიმალურ და 10%-ით დაბალია მაქსიმალურ პროგნოზზე, რომელიც სოფერმა წარმოადგინა 1987 წელს.

1989 წელს გამოქვეყნდა იუდეის, სამარიისა და ლაზას არაბული მოსახლეობის პროგნოზი, რომელიც გაეროს შეკვეთით შეასრულა პალესტინელი და არა მარტო პალესტინელი დემოგრაფების ჯგუფმა. ამ მეტისმეტად არასარწმუნო პროგნოზის მიხედვით 2007 წლის ბოლოსთვის ამ ტერიტორიების არაბული მოსახლეობის რაოდენობა 3.218.000 ადამიანს მიაღწევდა. ეს 582 ათასი ადამიანი ნაკლებია იმ რაოდენობაზე, რომელიც, როგორც ამტკიცებდა არნონ სოფერი 2005 წელს, უკვე 2004 წელს იქნა მიღწეული, და 540 ათასით ნაკლებია იმ შედეგებზე, რომლებიც გამოვლინდა 2007 წელს პალესტინური აღწერისას.

პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ჯანმრთელობის სამინისტროს ანგარიშების შეფასებებით, 2003 წლის ბოლოსთვის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 3.700.000 ადამიანს, მაშინ, როცა ზუსტად ერთი წლის შემდეგ ეს ციფრი 100 ათასით შემცირდა და შეადგინა 3.600.000 კაცი.

პცსბ-ის შეფასებით 2006 წლისთვის პალესტინის მოსახლეობამ მიაღწია 3.952.354 ადამიანს, ანუ გაიზარდა 190.349 კაცით, რაც ერთი წლის მანძილზე 5,1%-იან მატებას ნიშნავს!!! თუმცა, პალესტინის ავტონომიის ჯანმრთელობის სამინისტროს მონაცემებით მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი ორჯერ უფრო ნაკლები იყო: 2,4% 2003 წელს, 2,6% 2004 წელს და 2,5% 2005 წელს.

2007 წლის დეკემბერში ჩატარებული ახალი აღწერის მონაცემებით, 1997 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით პალესტინის მოსახლეობა გაიზარდა 30%-ით და შეადგინა 3.760.000 ადამიანი. ამ შემთხვევაშიც უცნაურ დამთხვევას ვაწყდებით: 2007 წლის ბოლოსთვის აღწერის შედეგები სრულიად იდენტურია 2005 წლის ბოლოს რაოდენობის პროგნოზირებადი შეფასებისა.

ამ აღწერის მონაცემებით გამოირკვა ისიც, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმის არაბული მოსახლეობის რიცხ-

ვობა შეადგენდა 208.000 ადამიანს, რაც 2.209-ით ნაკლებია 1997 წლის აღწერის შედეგებზე. ამ მონაცემებმა უკვე გამოიწვია პალესტინელ ხელისუფალთა მკვეთრი კრიტიკა პცსბ-ს მიმართ, იყო კატეგორიული მოთხოვნა, სასწრაფოდ გამოსწორებულიყო შექმნილი სიტუაცია.

რამდენად დასაბუთებული და საიმედოა პალესტინელი დემოგრაფების მონაცემები, შეიძლება დავასკვნათ დოქტორ ჰასან აბუ ლიბდეს (იგი 90-იანი წლების ბოლოს პცსბ-ს დირექტორი გახლდათ) სიტყვებიდან, რომელთა ციტირება მოახდინა გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 1997 წლის პირველი პალესტინური აღწერის შესახებ: „ჩემი აზრით, ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ინტიფადა. ეს სამოქალაქო ინტიფადა.“

რა გასაკვირი უნდა იყოს, თუ პალესტინელთა პოლიტიკურად მოტივირებული პროგნოზები და შეფასებანი პალესტინური ტერიტორიების მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ არ შეესაბამება სიმართლეს. არაა შემთხვევითი, რომ პალესტინის ადმინისტრაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საიტის და თანდათან ქრება გასული წლების დემოგრაფიული მონაცემები, ასე მკვეთრად რომ განსხვავდება პცსბ-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციებისაგან.

თუკი ვიხელმძღვანელებთ 2007 წლის აღწერის მონაცემებით, რომლის თანახმადაც პალესტინის მოსახლეობა ათი წლის განმავლობაში 30%-ით გაიზარდა, მაშინ ამ მოსახლეობის ზრდის საშუალო გეომეტრიული ტემპები წელიწადში 2,66%-ს შეადგენდა. ეს ტემპები ათი წლის ნაცვლად 14 წელზე განვავრცოთ და საწყის ეტაპად 1994 წელი მივიჩნიოთ. მაშინ, თუკი იცსბ-ს მონაცემებს დავეყრდნობით იუდეის, სამარიის და ლაზას მოსახლეობის 1993 წლის მინურული რაოდენობაზე (1.832.800 ადამიანი), ამ ტერიტორიების მოსახლეობის რიცხოვნობა 2007 წლის ბოლოსათვის 2.646.871 უნდა ყოფილიყო, რაც 1.113.129 ადამიანი ნაკლებია აღწერის შედეგებზე.

ერთი სიტყვით, სხვაობა მოსახლეობის რეალურ რაოდენობასა და 1997-2000 წლებში ორი პალესტინური აღწერებს შორის 1 მილიონი „მკვდარი სულის“ დონეზე შენარჩუნდა, ისე, როგორც ეს დამტკიცდა ხუთი წლის წინათ. რატომ აყალბებენ? ალბათ იმიტომ, რომ მსოფლიოს თანამეგობრობა პალესტინის ნაციონალურ ადმინისტრაციას ფინანსურ დახმარებას უწყევს მოსახლეობის რაოდენობის შესატყვისად.

ქართულ ებრაელთა დღე ქნესეთში

ტრადიციად იქცა — ისრაელის ქნესეთში დროდადრო იმართება ქართველ ებრაელთა ღირსების დღე. როგორც წესი, ეს დღე, უმეტესწილად, წარმოაჩენს ისრაელში ასეული ქართველი ებრაელების მიღწევებს. ამ დღეს ქნესეთში იწვევენ ქართველი ებრაელების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამა თუ იმ სფეროში.

დღეს ქართველ ებრაელთაგან ისრაელის ქნესეთში წარმოდგენილია ადვოკატი აბრამ მიხაელი (მიხელაშვილი), რელიგიური პარტია „შასის“ სიით არჩეული ადამიანი, რომელიც ისრაელში ცნობილია, როგორც ჩინებული სპეციალისტი და ღირსეული ადამიანი.

15 ივლისს ქნესეთში ჩატარებული ქართველ ებრაელთა ღირსების დღე სწორედ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაიმართა.

ქართველ ებრაელთა დღე ქნესეთში ორი წინააღმდეგობა შედგებოდა. დილის სხდომა ჩატარდა ალიის, აბსორბციის და დიასპორის კომიტეტში, აქ დეპუტატებმა — კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა მიხაელ ნუდელმანმა და აბრამ მიხაელმა ისაუბრეს ქართველ ებრაელთა წვლილზე საბჭოთა კავშირიდან ალიის დაწყების საქმეში. ხაზი გაუსვეს იმ წარმატებებს, რომელსაც ქართველმა ებრაელებმა მიაღწია ისრაელში. წარმატებები კი ერთობ თვალსაჩინოა — დღეს ისრაელში ბევრი გამოჩენილი ექიმი, ინჟინერი, ბიზნესმენი, თუ სხვა დარგის მოღვაწეა ქართველ ებრაელთა-

გან, რომლებიც კიდევ უფრო წინ სწევენ ისრაელის ეკონომიკას, საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ეს საკითხები — ალიისა და აბსორბციისა, მნიშვნელოვანი გახლდათ ამ დღეს, რადგან ქნესეთში ქართველ ებრაელთა ღირსების დღე ეძღვნებოდა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 60 და საბჭოთა კავშირიდან ალიის დაწყების 40 წლისთავს.

გაიმართა საინტერესო საუბარი ისრაელში ქართველ ებრაელთა ყოფაზე, მისადმი დამოკიდებულების ზოგიერთ ნეგატიურ ფაქტზე, მიღწეულ წარმატებებზე — იმაზე, თუ რა, როგორ უნდა გაკეთდეს მომავალში, რომ ქართველი ებრაელობა ისე იყოს წარმოდგენილი საზოგადოებრივ ასპარეზზე, როგორც ის ამას იმსახურებს, მთავარი კი ის გახლდათ და ეს თითქმის ყველამ აღნიშნა, რომ ქართველი ებრაელობა დღევანდელი ისრაელის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია.

კომიტეტის სხდომაზე კამათში მონაწილეობდნენ პარლამენტარები: შავალი, კოლეტ ავიტალი, მარინა სოლოდიკინა, იული ევლიშტეინი, მულიმი, ბაიხა მაზორი. ქართველი ებრაელების ერთობ ფართო სპექტრი გახლდათ ქნესეთში. ამათგან სიტყვით გამოვიდნენ: ხაზამ მოშე მიხელაშვილი, ისრაელის ყოფილი ელჩი საქართველოში ილია ხაზამი, ისრაელში საგანგებო წარმართულ თეატრთან ერთად მყოფი მწერალი გურამ ბათიაშვილი, პროფე-

სორი კოტე ლერნერი, ისრაელის ახლადარჩეული ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერი, ექიმი მიხეილ მიხელაშვილი, ქ. ორუდის მერობის კანდიდატი ნანა ხენი, „ჩვენნი არხის“ გენ. დირექტორი მორის ჯანაშვილი, ცნობილი ქართველი ებრაელი მოღვაწის რაფი ბარლავის ქვერივი — რახელ ბარლავი, შაბთაი ბირანი (ქ. აშქელონი), ბათ-იამის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ალბერტ შავიტი, პროფესორი, „კოლ ისრაელის“ ქართული გადაცემების ხელმძღვანელი რეუვენ ენოხი, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ცოფია ვაალი (მან ისაუბრა ისრაელის სკოლებში 18 ქართველი ებრაელის წერილის საკითხების შესწავლაზე), „ნატივის“ წარმომადგენელი მედა თაბორი, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ბეტი დანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ისრაელ მეამი, „ჯოინთის“ ხელმძღვანელი დანი პინესი.

მომდევნო, გაფართოებული სხდომა ქნესეთის აუდიტორიუმში გაიმართა. პირველი სიტყვა აქაც დეპუტატმა აბრამ მიხაელმა თქვა.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ისრაელის ვიცე-პრემიერმა, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ელი იშაიმ (პარტია „შასი“), აბსორბციის მინისტრმა იაკობ ედრიმ (პარტია „შასი“), ქნესეთის ალიისა და აბსორბციის კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა მიხეილ ნუდელმანმა, ექიმმა ზაზა იაკობაშვილმა.

ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი საქართველო-



ქნესეთის წევრი აბრამ მიხაელი (მიხელაშვილი)

ში შექმნილი დოკუმენტური ფილმიდან „იმ იქსახე, იერუშალიმ“ (რეჟ. მერაბ კოკოჩაშვილი, სცენარის ავტორი გურამ ბათიაშვილი). დასასრულს მორის ჯანაშვილმა შეასრულა ორი სიმღერა.

ქართული ებრაელი ქალები ისრაელში

სიმა თაჰვი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „პენორა“ №12, 13

ჯანაშვილი-პრინცილი ივოლდა — დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, დაბა სურამში. საშუალო სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ ფაკულტეტზე. მესამე კურსის სტუდენტს გათხოვდა გაბრიელ კრიხელზე, პროფესორი ფიზიკოსზე და ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ გორში. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ ახალგაზრდამ დაკარგა ორი საყვარელი ადამიანი — უფროსი ქალიშვილი და მეუღლე.

1980 წელს ამოვიდა ისრაელში ორი ვაჟით. სულით მეტად ძლიერმა ქალმა სძლია დიდ და ღრმა ტკივილებს და შეუდგა ახალ ცხოვრებას — მეტად დინამიურს და შემოქმედებითს. მას ზურგს უმაგრებდნენ საყვარელი მშობლები, ახლობლები, შვილები და მეგობრები.

ისრაელში ამოსვლისთანავე ჩაება ქართულენოვანი პრესის მუშაობაში. პერიოდულად აქვეყნებს ნარკვევებს, ლექსებს, მოთხრობებს ჟურნალ-გაზეთებში, ხშირად გამოდის ქართულენოვან რადიოში და საუბრობს აქტიურ თემების ირგვლივ. ჟურნალ „დროშის“ მიერ გამართულ კონსკურსში მისმა მოთხრობამ „ბარათი“ პირველი პრიზი დაიმსახურა. ორი წლის წინ გამოიცა მისი ფსიქოლოგიურ-დიდაქტიკური ნაშრომი „ყვავილთა ქვეყნის ასული“. ფართო მკითხველის აზრით, ეს წიგნი გამოცემის პირველივე დღეებიდან გადაიქცა ებრაელი ოჯახების სამაგიდო წიგნად, რომელიც „ერთი ამო-

სუნთქვით იკითხება“. იზოლდა 20 წელზე მეტია მუშაობს განათლების სისტემაში, კერძოდ, „ეშკოლ ჰაისი“ ნიჭიერ ბავშვთა სამეცნიერო და დახელოვნების ცენტრის კვლევითი ბიო-ქიმიური ლაბორატორიის უფროსად. ხელმძღვანელობს საპროექტო სამუშაოებს. არის მწერალთა კავშირის ქართული განყოფილების წევრი.

მეტად ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მუშაობისთვის, ზოგად-საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის დაჯილდოებულია განათლების სისტემის დამსახურებული და „ნარჩინებული მუშაკის“ საპატიო სიგელით.

იზოლდა კრიხელი აღსავსეა დიდი ენერჯით და მუდამ ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ისრაელის ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებში. ღირსეულად აგრძელებს პროფესიულ და შემოქმედებით მოღვაწეობას. სწავლობს ფერწერას, გრაფიკას, გამოირჩევა თავისი აქტიური მონაწილეობით საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ლალი ანაპროვი-ჯანაშვილი — დაიბადა ქ. გორში. ღარიბ-გაჭირვებულთა დამხმარე და განმკითხავი, მრავალშვილიანი მორწმუნე ებრაელის — მორდებ ჯანაშვილის ოჯახში. ლალიმ დაამთავრა ქ. გორის ბარათაშვილის სახ. ინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტი და მუსიკალური ათნლედი. 1979 წელს მეუღლესთან და 2 ქალიშვილთან ერთად ამოვიდა ისრაელში. მეუღლე პროფესიით მუშაობს პოლიციის სახ. ინსტიტუტის კერძო გაკვეთილებს ბინაზე. მუდამ ფიქრობდა ჩაბმულიყო შრომის საზოგადო ფერხულში. გაცნობოდა საზოგადოებრივ

ცხოვრებას. გაიარა ივრითის შემსწავლელი ინტენსიური ულპანი. დაამთავრა ორწლიანი საზღვალტრო კურსები და მუშაობდა დაინყო ქ. აშქელონის სუპერმარკეტში, შემდეგ კი ჰიპერ-კოლში. მუშაობის პერიოდში გამოირჩეოდა თავმდაბლობით, სიბეჯითით.

1988 წელს ჰიპერკოლის დიდი კოლექტივის მიერ საუკეთესო მუშაობისთვის დაჯილდოებული იქნა „ნარჩინებული მუშაკის“ საპატიო ნიშნით და ფულადი პრემიით, საზღვარგარეთის ორი სამოგზაურო ბილეთით, რომელიც საკუთარი თხოვნით შეცვალა საქართველოში სამოგზაურო ბილეთზე და 15 წლის შემდეგ პირველად მიეცა საშუალება მოენახულებინა მშობლიური ქალაქი გორი.

სიმა თაჰვილიშვილი-თაჰვი — დაიბადა ქ. ქუთაისში. საშუალო სკოლაში სწავლის დროს გამოირჩეოდა სპორტის დიდი სიყვარულით და სასკოლო შეჯიბრებებში სათანადო მიღწევებით, 1965 წელს დაამთავრა ქუთაისის ალ. ნულუკიძის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის და მეთოდოლოგიის ფაკულტეტი.

ისრაელში ამოვიდა 1972 წელს მეუღლესთან და 6 წლის ვაჟთან ერთად. დასახლდნენ იერუსალიმში. მეუღლე — მიხეილ თაჰვილიშვილი — მანქანათმშენებელი ინჟინერი — მუშაობდა ქუთაისის ქარხანაში. მეუღლის სამხედრო სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ოჯახმა ჯერ კიდევ ქუთაისში განიცადა აბსორბციის დიდი სიმძიმე და დაბრკოლებები. ისრაელში ამოსვლისათვის — 1969 წელს სამსახურიდან პირადი თხოვნით განთავისუფლების შემდეგ — ქვეყნის ოფიციალური კანონით

მეუღლეს ეკრძალებოდა 4 წელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დატოვება (რამდენადაც მას ჰქონდა ოფიციალური დაშვება ქარხნის ტექნიკურ საიდუმლო განყოფილებაში). ამას დაერთო 1972 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სრულიად ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ისრაელში ნამსვლელი უმაღლეს დამთავრებული პირებისათვის — სასწავლო ხარჯების უკან დაბრუნებას. ორივე ცოლქმრისათვის თანხა შეადგენდა 15000 მანეთს, რომელიც ამ დროისათვის მათი ოჯახის შესაძლებლობას ძლიერ აღემატებოდა და საფრთხეს უქმნიდა მათ ისრაელში ამოსვლას.

ახალგაზრდა ოჯახმა გადაიხადა აღნიშნული თანხა და ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით ამოვიდნენ ისრაელში. 1979 წელს, დახურული ულპანის გავლის შემდეგ, რაფი ბარლავის უშუალო მოწვევით სიმა მუშაობას იწყებს აბსორბციის სამინისტროში საჩივრების განხილვა-გარჩევის განყოფილებაში — ნამყვან თანამშრომლად, მომავალში უფროს ინსტრუქტორად. მუშაობის პერიოდში გაიარა კვალიფიციური აკადემიური კურსები. აბსორბციის სამინისტროს სპეციალური მივლინებით რამდენჯერმე იყო გაგზავნილი საქართველოში, რუსეთში, ბაქოში მომავალ რეპატრიანტებთან სათანადო ახსნა-განმარტებითი რჩევების, საუბრების ჩასატარებლად. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალი რეპატრიანტების აბსორბციის საკითხების განხილვას. ბინების, მცირე ბიზნესისათვის სესხების გაცემას, სოციალურად გაჭირვებულ, ტერაქტში მოხვედრილ და ტრავმირებული რეპატრიანტების ოჯახთა დახმარებას. საუკე-

თესო, ნაყოფიერი მუშაობისთვის 1898 წელს აბსორბციის სამინისტროს მიერ დაჯილდოებული იქნა „საუკეთესო მუშაკის“ საპატიო ნიშნით და მედალით, 2000 წელს — ხელმეორედ „ნარჩინებული თანამშრომლის“ და ღირსების სიგელით. 2001 წელს სპეციალური პრიზით — რაციონალიზატორული წინადადების დანერგვისათვის.

სიმამ კეთილსინდისიერი შრომით დიდი წვლილი შეიტანა რეპატრიანტთა აბსორბციის საქმეში, რითაც ღირსეულად დაიმკვიდრა მისაბაძი მუშაკის ნიშანი.

2001 წლიდან პენსიონერია, საცხოვრებლად გადავიდა ხოლოში, სადაც ცხოვრობენ მისი ერთადერთი ვაჟი, რძალი და 3 შვილიშვილი.

2005 წლის მაისში შეადგინა და კონგრესის დაფინანსებით — ქნთამარ მამისთვალთვან ერთად გამოსცა „ქართველი ებრაელები მეორე მსოფლიო ომში“.

ქართველი აბრაელი ქალები ისრაელში

→ მე-3 გვერდიდან



კომპიუტერული სისტემა. ყოველ რეპატრიანტზე გახსნილი იყო პირადი საქმე — ისრაელში ამოსვლის თარიღის მიხედვით და მასში თავსდებოდა რეპატრიანტის სათანადო პირადი ცნობები. არქივის მუშაკის სამუშაოს წარმოადგენდა ყველა ამ საბუთის მონერსტირება. მედემ სწრაფად გამოიჩინა დაინტერესება თავისი საქმისადმი და ძალიან მოკლე დროში, 1977 წელს, იგი არქივის უფროსად იქნა დანიშნული.

მუშაობის პერიოდში გაიარა სხვადასხვა სახის აკადემიური კურსები. წლების მანძილზე ასრულებდა შრომითი დასაქმების კურატორის მოვალეობას და ღირსეულად სარგებლობდა ახალ რეპატრიანტთა და ადმინისტრაციის პატივისცემითა და დადებითი შეფასებით.

1988 წელს მედემ ინიშნება აბსორბციის სამინისტროს თელ-ავივის განყოფილების უფროსის მოადგილედ — შემდეგში კი უფროსის თანამდებობაზე.

ნაყოფიერი და პასუხისმგებლური მუშაობისთვის მედემ აბსორბციის სამინისტროს მიერ ორჯერ — 1991 წელს და 2002 წელს დაჯილდოებულია „წარჩინებული თანამშრომლის“ საპატიო სიგელით.

30 წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ მედემ ღირსეულად გავიდა პენსიაში, თუმცა, აქტიურად მონაწილეობს თემის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხარობს ერთადერთი შვილის მზრუნველობით და სიყვარულით.

ნა შაჰაპილი — დაიბადა ქ. ქუთაისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საბუნებისმეტყველებლის ფაკულტეტის სანიმუშო დიპლომი მიიღო. სამსახურად, მუშაობა ვერ დაიწყო, რადგან ნაადრევად გათხოვდა და მცირეწლოვანი ბავშვების მოვლა-მზრუნველობით იყო დატვირთული. ისრაელში ამოვიდა 1972 წელს და ახალგაზრდა ოჯახი ისრაელში კიდევ უფრო გაიზარდა. ემა 4 შვილის გამზრდელი დედაა. მეუღლე კი 17 წლის განმავლობაში მუშაობდა „მიცფე რამონის“ ციხე „ნაფზაში“ და დღეს პენსიონერია.

1982 წელს, როდესაც ბავშვები ნამოიზარდნენ და საბავშვო ბაღსა და სკოლაში წავიდნენ ემამ მუშაობა დაიწყო ქ. ბერ-შევის ბენ-გურიონის სახ. უნივერსიტეტის სტამბაში მბეჭდავად. იგი ყოველდღიურად ასრულებდა სხვადასხვა ფაკულტეტის მიერ დამუშავებული მასალების,

ნიგნების, საგამოცდო ფურცლების და უნივერსიტეტის ყველა სამუშაო მასალების ბეჭდავა-აკინძვას. სამუშაო მოთხოვნა მეტად დიდ ფიზიკურ შრომას, ყურადღებას, ზუსტად, სწრაფად, შეუცდომლად და ხარისხიანად შესრულებას. ქ-ნი ემა ღირსეულად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და დროზე და სანიმუშოდ შესრულებულ სამუშაოს აწვდიდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და მომუშავე პერსონალს.

საუკეთესო მუშაობისთვის 1997 წელს ემა შამუაშვილი ბენ-გურიონის სახ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დაჯილდოებული იქნა „წარჩინებული მუშაკის“ საპატიო ნოდებით.

ეს მოწინავე, თავდადებული შრომით ცნობილი, 4 შვილის საუკეთესოდ აღზრდელი დედა და მეუღლე დღესაც კეთილსინდისიერად ასრულებს მუშაობას ბენ-გურიონის სახ. უნივერსიტეტში.

ბელა ელიგულაშვილი — დაიბადა საქართველოში, ქ. ცხინვალში. 1977 წელს, 9 წლის ასაკში ამოვიდა ისრაელში მშობლებთან და და-ძმასთან ერთად. მშობლები, როგორც უმაღლეს დამთავრებულნი, საცხოვრებლად გაანაწილეს რეზოვოთის ულპანში, რომლის დამთავრების შემდეგ ოჯახი გადმოდის ხოლონში და 3 პატარა და-ძმა სწავლას იწყებს დაწყებით სავალდებულო სასწავლებელში. დედა კი ეწყობა მიკრობიოლოგიისა და ლაბორანტის კურსებზე თელ-ავივში. მამა გახდა ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. 8 კლასის დამთავრების შემდეგ ბელა სწავლას აგრძელებს ი. ვოლფსონის საავადმყოფოს საექთნო სასწავლებელში, შემდეგ კი უნივერსიტეტში დაგრდომილ ავადმყოფთა საერთო მომსახურების და დახმარების ფაკულტეტზე.

სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს ვოლფსონის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში ექთნად, პარალელურად სწავლას აგრძელებს ტელ ჰა-შომერის სამედიცინო სასწავლებელში ონკოლოგიის განხრით. შეძენილი ცოდნით, დიდი პრაქტიკული გამოცდილებით იგი გადადის თელ-ავივის კაპლანის კუფათ-ხოლიმთან არსებულ ონკოლოგიურ განყოფილებაში, რომელიც სათანადო მომსახურებას უწევს ოჯახში მყოფ ონკოლოგიურად

დაავადებულ სხვადასხვა სტადიაში მყოფ ავადმყოფებს, აძლევს მათ სათანადო რჩევადარიგებას, აწარმოებს სათანადო ანალიზების გაკეთებას ადგილზე.

გულისხმიერი, კეთილი, თავაზიანი, თბილი და თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე ადამიანი, ხშირად საათობით ატარებს დროს მძიმე ავადმყოფის სასთუმალთან და ყურადღებას არ აკლებდა პაციენტს. მისი მომღიმარი სახე და ტკბილი სიტყვები, ცხოვრების სიყვარულს, რწმენას და ხალისს მატებდა ლოგინში ჩავარდნილ ადამიანს. ყოველდღიურ მუშაობასთან ერთად მან გაიარა დახელოვნების კურსები — ბე შიკუმ სტომა.

კუფათ-ხოლიმის ონკო-დაავადებულ ავადმყოფთა საერთო მომსახურებაში განეული წვლილისათვის, პაციენტთა გულისხმიერი და კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის — 2003 წელს ბელა ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დაჯილდოებული იქნა „წარჩინებული მუშაკის“ საპატიო ნოდებით და მიენიჭა მანკალის — გენერალური დირექტორის ჯილდო ფულადი პრემიით.

დღეს იგი წარმატებით განაგრძობს მუშაობას ცენტრალური რაიონის (აშდოდი, რამლე, ლოდი, რეზოვოთი, რიშონ-ლეციონი, მოდიინი) ონკოლოგიურ-სამკურნალო განყოფილებაში პასუხისმგებელ ხელმძღვანელად და სარგებლობს როგორც ადმინისტრაციის, ასევე პაციენტების და მათი ოჯახების დიდი პატივისცემით.

ბელა ელიგულაშვილი არის საუკეთესო, ტრადიციული ოჯახის დიასახლისი, შესანიშნავი მეუღლე და 3 შვილის აღზრდელი დედა.

დალი ბენ-ელიაშ-ალ-აშვილი — დაიბადა ქ. ქუთაისში. 1972 წელს მშობლებთან ერთად მცირეწლოვანი ამოვიდა ისრაელში. აქ დამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი საბუნებისმეტყველების საბუნებისმეტყველო კურსები. საუკეთესოდ დაეუფლა ივრითს და კომპიუტერს. 1974 წელს მუშაობა დაიწყო იერუსალიმის ცენტრალურ ფოსტა-ბანკში.

დალიმ დროთა განმავლობაში გაიარა დახელოვნების კურსები, დაამთავრა დაუსწრებელი საერთაშორისო სახალხო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. ფოსტა-ბანკში ასრულებს საბუნებისმეტყველო წარმოების უფროსის მოვალეობას,

რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა ოპერაციასთან და მოითხოვს საქმის ცოდნას, პასუხისმგებლობას, ცალკეული ოპერაციების სწრაფად და ხარისხიანად შესრულებას.

1998 წელს ფოსტა-ბანკში საუკეთესო და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია „წარჩინებული მუშაკის“ საპატიო ნოდებით და სიგელით. დანიშნულია საფოსტო განყოფილების უფროსად. აქვს მუშაობის უმაღლესი რანგი, დიდი გამოცდილება და სარგებლობს მეგობრებისა და თანამშრომლების დიდი პატივისცემითა და სიყვარულით.

ჯულიეტა თავდიდიშვილი — დაიბადა ქ. ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა. ისრაელში ამოვიდა 1972 წელს მშობლებთან ერთად. ისრაელში დაამთავრა საბუნებისმეტყველო წარმოების კურსები და მუშაობა დაიწყო იერუსალიმის ცენტრალურ ფოსტა-ბანკში ნამყვან თანამდებობაზე. საუკეთესოდ შეისწავლა ივრითი, ბანკის მართვის საქმეები და მოკლე დროში დანიშნული იქნა ერთ-ერთი განყოფილების უფროსად, გამოირჩევა მეგობრული ურთიერთობით და კოლექტივში საუკეთესო მუშაობით, საქმის ცოდნით და საქმის მწარმოებელთან მეტად სწრაფი და გადამწყვეტი საქმიანი ურთიერთობებით და კავშირით.

მუშაობის პერიოდში დაამთავრა იერუსალიმის საერთაშორისო სახალხო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. აქვს საუკეთესო ოჯახი, მეუღლე ტაქსის მძღოლია. ჰყავთ ორი შვილი და შვილიშვილები.

ცხოვრობენ თანამედროვე აზრებითა და შემართებით, უყვართ მოგზაურობა, თავისუფალი დროის საუკეთესოდ და გემოვნებით გამოყენება. ახლო კავშირები აქვთ ისრაელის საზოგადოებასთან.

1998 წელს საუკეთესო მუშაობისთვის იერუსალიმის ცენტრალური საფოსტო განყოფილების მიერ დაჯილდოებული იქნა „წარჩინებული მუშაკის“ საპატიო ნოდებით და სიგელით.

ჯულიეტა თავდიდიშვილი დღესაც დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, სწავლობს, იძენს ცოდნას და ღირსეულად აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას.



თბილისის თეატრის გასტროლი ისრაელში

11-18 ივლისს ისრაელის ქალაქებში ჩატარდა თბილისის „გოგი ქავთარაძისახალითეატრის“ გასტროლი. საგასტროლო რეპერტუარში გახლდათ გურამ ბათიაშვილის პიესა „თავდავინყების თამაში უცხოთა ლოგინებში“-ს მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „სიყვარულის თამაში“, რომელიც მეოთხე სეზონია წარმატებით მიდის „თეატრალურ სარდაფში რუსთაველზე“.

გასტროლები მოაწყო ისრაელის ქართულენოვანმა თეატრმა „ხიდი“ (ხელმძღვანელი — მიხეილ ნანიკაშვილი) და მიეძღვნა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 60, ალიის დაწყების 40 წლისთავს და დაუკავშირდა მწერალ გურამ ბათიაშვილის დაბადების 70-ე წლისთავს.

თეატრის ხელმძღვანელი — მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე, მწერალი გურამ ბათიაშვილი გასტროლების დღეებში შეხვდნენ საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ისრაელში ვლადიმერ კონსტანტინიდს, გამოჩენილ კაბალისტს — მიხეილ ლიტიმანს, იერუსალიმის ვიცე-მერებს მერ თურჯუმანს და შლომო ათიასს, ხოლო ქ. ხოლონის ვიცე-მერმა, ცნობილმა თეოლოგმა და მთარგმნელმა, საქართველოს საპატიო მოქალაქემ შალომ დავიდმა თეატრის კოლექტივს დათვალა რეპერტუარი. ხოლონის ლირსმესანიშნაობანი, მიღება გაუმართა მერიამი და დაასაჩუქრა თეილიმის მისეული ახალი თარგმანით, ასევე შარშან გამოცემული მისივე წიგნით „ებრაელი ხალხის ისტორია“.

პირველი სპექტაკლი გაიმართა ხოლონში. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ახალ, ჯერ კიდევ მოურგებელ, აუთოვინებელ სცენურ გარემოში არ გახლდათ ჩვეული ხარისხისა, მან მაყურებელზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

სპექტაკლის შემდეგ გურამ ბათიაშვილს საიუბილეო თარიღი მიულოცეს შალომ დავიდმა, პოეტმა, მთარგმნელმა ჯემალ აჯაიშვილმა, კომპოზიტორმა იოსებ ბარდანაშვილმა, პოეტმა ქალბატონმა მერი ელიშაიკოვამა ნაიკითხა გოგი ქავთარაძისა და გურამ ბათიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები.

ხოლონის გ. ბაზოვის სახ. თეატრის ხელმძღვანელმა და მსახიობმა დავით ხუბლაშვილმა თავის გამოსვლაში თქვა:

ძმად გურამ!

ბოლოს და ბოლოს დამენიე და შენი ასაკის აღმნიშვნელი პირველი ციფრიც გახდა შეიდან. მაგრამ, აბა, ვინ იტყვის, რომ შენ სამოცდაათ წლისა ხარ? მუდამ ახლის ძიებაში მყოფი, შეუსვენებელი მოყვანის სიკეთეზე მზრუნველი; მიკვირს, როგორ ასწრებ ყველაფერს; რომანებს ქმნი, სხვადასხვა ენებზე რომ ითარგმნება, პიესებს წერ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენებზე რომ იდგმება, უამრავ პუბლიცისტურ წერილს ბეჭდავ საჭირობოროტო თემებზე, ყურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი ხარ, ებრაულ გაზეთ „მენორას“ გამომცემელი და რედაქტორი, მრავალი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საბჭოს წევრი, გამომჩნა რამე? დიანაც, გამომჩნა ყველაზე მთავარი — უპირატეს ყოფილხარ, სულით ხორცამდე ებრაელი ხარ, შენი ხალხის მოყვარული და დაუღალავი ქომაგი.

ზოგჯერ მგონია, რომ სწორედ ჩემი და შენი მშობლიური სენაკიდან, ჩვენს ბავშვობაში ცხაკა-იასა რომ ეძახდნენ, გამოგყვა ის მძლავრი მუხტი, დღემდე რომი სასახლოდ გაზიადვილებს ორი ხალხის — ქართველობისა და ებრაელობის — სამსახურის ტვირთს. ჩემთვის უპირველესად, შენ

ებრაელი მწერალი ხარ, რამდენიმე დიდებული რომანი და გახმაურებული პიესა რომ უძღვენი ებრაელობის თემას. სახალხოდ კიდევ ერთხელ მინდა გამოგიტყდე სიყვარულში და გითხრა, რომ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების უძვირფასეს მომენტად ვთვლი იმ წუთებს, როცა შენს მიერ შექმნილ პიესა „ვალს“ ვდგამდი და ვთამაშობდი. ან კიდევ თეოდორ ჰერცლის როლს ვანსახიერებდი შენეულ დრამაში, სიონიზმის ჩასახვის ხანას რომ ეძღვნება. ზოგი სხვაც წამიკითხავს სცენაზე შენი ხელუხვი სიტყვაკაზმული ნაწარმოებებიდან, ყველას ჩამოთვლა შორს ნავიჯივანს და სხვა გამომსვლელებსაც მინდა დაუტოვოვ სათქმელი.

არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოსდა, შენი შემოქმედება ებრაული თემატიკით იფარგლებოდეს: არა, შენ ფართო თვალსაზრისის კაცი ხარ, მძაფრად განიცდი თანამედროვეობის მავისცემას და გარდასახავ კიდევ შენს ნაწარმოებებში. სწორედ ამის დასტურია ის პიესა, რომელიც დღეს ამ დარბაზში იქნა წარმოდგენილი.

ჩემთვის, ჩემო გურამ, უდიდესი პატივია შენთან ერთად მივესალმომო თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ქართველ რეჟისორსა და მსახიობს ბატონ გოგი ქავთარაძეს, რომელიც სპექტაკლის დამდგმელია, ყველა მსახიობს, რომლებმაც გაგვახარეს თავის შემოქმედებით. ისრაელის ქართველი ებრაელობა, რომელსაც ძველებურად უყვარს და იტაცებს ქართული თეატრი, გულმხურვალედ ეგებება ჩვენთან სტუმრად ჩამოსულ დასს და წარმატებულ გასტროლებს უსურვებს ისრაელის მინაზე.



მიღება ქალაქ ხოლონის მერიამი

ნება მიბოძეთ, იმიტვე დავასრულო, რითაც დავინყე, და დღევრძელობა ვუსურვო 70 წლის გურამ ბათიაშვილს. ნლები რა ბედენა ჩემო გურამ, ჩვენ კვლავაც ბევრს ველით შენგან.

დაგლოცავ ჩვენებურად — ყად მეა ვეყვარნი!

სრულიად სხვა — ჩვეული შემოქმედებითი ხარისხისა გახლდათ ქ. აშდოდში ჩატარებული სპექტაკლი, ამიტომ ემოციური მუხტიც მეტი იყო. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მიკროფონთან მოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც გურამ ბათიაშვილს ულოცავდნენ დაბადების 70-ე წლისთავს. პირველი სიტყვა გოგი ქავთარაძემ და უწონავლ „აშდოდის“ რედაქტორმა, პოეტმა სულო სეფიაშვილმა წარმოთქვეს, შემდეგ გამოვიდნენ მომღერალი ალექსანდრე პეღევი, მსახიობი და რეჟისორი ზური ბთერაშვილი, პოეტები ნანა დავარი, იოსებ კრიხელი და სხვ.

ქ. ბეერ-შევაში თეატრს, გ. ქავთარაძეს მიუხედავად ბეერ-შევის მუნიციპალიტეტის წვერი მიხეილ შემეში. მან 70 წლისთავი მიულოცა გურამ ბათიაშვილს, ისაუბრა მისი, როგორც მწერლის, საზოგადო მოღვაწის ღირსებებზე



სპექტაკლის შემდეგ

და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა რეჟისორსა და დრამატურგს.

ერთობ უჩვეულო გახლდათ 17 ივლისს გასტროლების დამაგვირგვინებელი სპექტაკლი იერუსალიმში — სპექტაკლის დაწყების წინ აღმოჩნდა, რომ არ არის (!) მინიდისკი, რომლითაც სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება უნდა მომხდარიყო. თეატრმა, მიუხედავად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციისა, გადაწყვიტა ის მშვენიერი დრო შეეხსენებინა მაყურებლისათვის, როცა სპექტაკლებს მუსიკის გარეშე თამაშობდნენ — სცენის ბატონ-პატრონი მსახიობი და მწერლისეული სიტყვა იყო. — ამით დიდი საფრთხის წინაშე დააყენა თავისი შემოქმედებითი ღირსება. მსახიობებს ადრინდელივით დარბაზზე ზემოქმედების

მაგალითს, ნიმუშს ქვეყნის ნამდვილი სიყვარულისა, მისთვის გარჯისა. რაც შეეხება გასტროლებს, ჩვენ იგი ჩემი მეგობრის, ცნობილი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, ჩინებული პიესებისა და რომანების ავტორის — გურამ ბათიაშვილის 70 წლისთავს მიუძღვნით და ერთობ კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „ხიდი“-ს ხელმძღვანელს მიხეილ ნანიკაშვილს — სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა გასტროლები. იყო ხელის შემშლელი პირობები, რამაც ვერარა შეგავლენა ვერ მოახდინა გასტროლების ხარისხზე.

ჩვენ ერთობ კმაყოფილი ვართ და მადლობას მოვხსენებთ ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, კონკრეტულ პიროვნებებს.

მიხეილ ნანიკაშვილი: ეს სპექტაკლი იანვარში ვნახე თბილისის „თეატრალურ სარდაფში რუსთაველზე“, მეორე დღესვე შევთანხმდით თეატრის ხელმძღვანელ გოგი ქავთარაძესთან, რომ ისრაელში ამ სპექტაკლით აღვნიშნავდით გურამ ბათიაშვილის 70 წლისთავს, ასევე გავაცნობდით გოგი ქავთარაძის ხელოვნებას. თანადგომისათვის მინდა მადლობა მოვასხელო ბატონებს შალომ დავიდს, მოზე ბოთერაშვილს, მიხეილ შემეშს და მერი ამშიკაშვილს.

ისრაელის ქართველი ებრაელობა ესტრადას მეტ პატივს სცემს, ვიდრე დრამას, ამიტომ სირთულის წინაშე ვიყავით. მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარ-

გად ჩატარდა — ისრაელის ქართველი ებრაელობა მოხიბლული დარჩა ახალგაზრდა მსახიობების თამაშით. როგორც ჩანს, ქართული აქტიორული სკოლა კვლავ თავის სიმაღლეზეა.

გურამ ბათიაშვილი: რასაკვირველია, ერთობ მადლობელი ვარ ამ გასტროლების ინიციატორების, დამაგვირგვინებლებისა, უწინარესად, მიხეილ ნანიკაშვილისა. მე მაყურებელმა მომხიბლა: მან ისე ზუსტად, ისეთი გულისტკივლით აღიქვა პიესის არსი, მართალია გითხრათ, გაცივებულიც კი დავრჩი. ხოლო რაც შეეხება იერუსალიმში ჩატარებულ სპექტაკლს, იგი უნიკალური გახლდათ. თეატრალურ სამყაროში დროადრო იმართება კამათი სიტყვის რაობაზე თეატრში. არიან თეატრალური მოღვაწეები, რომლებიც უარყოფენ სიტყვის ფუნქციას. იერუსალიმში 17 ივლისს ექსტრემალურ სიტუაციაში ჩატარებულმა სპექტაკლმა დაადასტურა იმ სამეულის განუყრელობა, ურომლისოდაც ვერ შედგება თეატრალური ხელოვნება: დრამატურგი, მსახიობი, მაყურებელი.

მოგვიანებით გ. ტოვსტონოვოვმა ამ სამეულს — მეოთხე კომპონენტი — რეჟისურა საცხებით სამართლიანად დაუმატა. ერთი სიტყვით, ძალიან იმარჯვეს მსახიობებმა. ისეთი კონტაქტი დამყარდა მსახიობებსა და მაყურებელს შორის, რომ აშკარა მხილველი ვიყავით შემოქმედებითი პროცესისა.

ჯემალ სეფიაშვილის თეატრალური მუსიკა



შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი გულისხმობს საკურსო და სადამკრთობ სპექტაკლების წარმოდგენას. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ცნობილ რეჟი-

სორ ქეთი დოლიძეს მიჰყავს მსახიობის ოსტატობის კურსი, ამას წინათ სწორედ მისი რეჟისურით იქნა წარმოდგენილი შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“. რეჟისორი ამბობს, რომ ამ პიესის უმთავრესი თეზა მან დაუკავშირა ჩვენს რეალობაში მომხდარ მოვლენებს და ამით დააახლოვა სპექტაკლი თანამედროვე საქართველოს მაყურებელთან.

საგულისხმოა, რომ „ვენეციელი ვაჭრის“ მუსიკალური გაფორმების თანაავტორია გამოჩენილი კომპოზიტორი, ჩინებული შემოქმედი ჯემალ სეფიაშვილი. ჯემალ სეფიაშვილს ადრეც გაუფორმებია სპექტაკლები მუსიკალურად. ამჟამინდელი „ვენეციელი ვაჭრის“ მუსიკალური კომპონენტი მაღალი გემოვნებით ხასიათდება.

ეს წიგნი ადრეს უნდა გვქონოდა

წინათქმა

ებრაელთა ენებზე არსებული თორის ყველა ტრადიციულ თარგმანს შორის, რომლებიც დაცულია ებრაულ თემთა ტრადიციების კვლევის ცენტრის არქივში, ცარიელი იყო ადგილი ქართველ ებრაელთა ტრადიციისა. ეს წიგნი აღნიშნული ხარვეზის ამოვსებას ისახავს მიზნად. პროფ. რეუვენ ენობმა თავის თავზე აიღო გამოვლენა თარგმანის სანდო მკოდნენი (სიტყვასიტყვით თარგმანი – გადმოცემნი) თემის უზუცესთა შორის, რომლებსაც დღემდე მოჰყოლიათ ეს ათადაც ბაბადან არსებული ტრადიცია და ჩაენერა მათეული ვარიანტები, და ეს, ცხადია, არ არის იოლი ამოცანა. მას შემდეგ, რაც გამოავლინა ეს პირები, მას უნდა დაერწმუნებინა ისინი, მის წინაშე ეთარგმნათ ბერეშითის წიგნის თითოეული ფარაშა. ამ ძალისხმევის ნაყოფია წარმოდგენილი წიგნი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თორის სხვა წიგნების ჩანერაც გახდება შესაძლებელი.

წიგნს წინ უძღვის მოკლე შესავალი თარგმანის ისტორიის, ტექსტის გადმოცემითა და ჩანაწერის შესახებ. ვრცელი გამოკვლევა ამ თარგმანის ენის, მისი სიტყვებისა და, ერთი მხრივ, საზოგადო ქართულ ენასთან და, მეორე მხრივ, ახალ ქართულ ებრაულ-მეტყველებასთან მიმართების შესახებ ცალკე წიგნად არის გამოზნული. უმთავრესი წინამდებარე ნაშრომისათვის არის სისტემური გადმოცემა ბერეშითის წიგნის ტრადიციული თარგმანის ტექს-

სულ ათიოდად დღის წინათ იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის მახანის სახ. გამომცემლობა, რომელიც ისრაელში წამყვანი სამეცნიერო წიგნების გამომცემის დარგში, გამოცდა არილის საუნივერსიტეტო ცენტრის წამყვანი ლექტორის, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ტრადიციის სახ. ინსტიტუტის მაცნიერ-თანამშრომლის დ-რ რაუპინ ენოსის (მას საპარტოვლოში ვიცნობთ როგორც რაუპინ ენოსის) დიდად საყურადღებო წიგნი **“თავსილი. თორის ქართულ ებრაელთა ტრადიციული თარგმანი: პარეზიტი”**. წიგნი გამომცემის მიერ “თამი და ენა” (28-ე ტომი) ამ სერიისა, რომელიც დიდი ყურადღებით სარგებლობს ისრაელში. ვფიქრობთ, რომ ეს უნივერსიტეტის წიგნი არა მარტო ქართველ ებრაელთა თემისათვის, არამედ, საერთოდ, ქართული კულტურისა და მნიშვნელოვანი ისტორიისთვისა და ებრაულ დინასტიკათა შესწავლისთვისაც. ესაა ტექსტი, რომელიც პარეზიტიდან ჩაბარდა ებრაული წიგნი ებრაული უნივერსიტეტის მაცნიერის სახ. იუდაისტის ინსტიტუტისა და ებრაულ თემთა ტრადიციების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფ. აპარონ მაჰანის წინათქმა და ავტორის – რაუპინ ენოსის წინასიტყვაობის ძირითადი ნაწილი.

ტისა, რომელიც “თავსილის” სახელითაა ცნობილი.

პროფ. ლერნერმა დიდი შემნობა აღმოვიჩინა იმით, რომ თავს იღო წიგნის პირველგარიანტის ნაკითხვა და წარმოგიდგინთ მისეული შეფასების ზოგიერთ ნაწილს:

1. ესაა უიშვიათესი დოკუმენტი ძველი ქართული ენისა. ისეთი ტექსტი, რომ ერთსა და იმავე დროს წარმოგიდგინდეს ქართულ კლასიკურ ენასა და ქართულ ებრაელთა მეტყველებას, ქართულ ტექსტოლოგიაში არ მოგვეპოვება.
2. ტექსტი ასახავს ქართულ ებრაელთა თემის გრძელ კულტურულ და სარწმუნოებრივ ისტორიას, და ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია (ჩვენ ხელთ არა გვაქვს სხვა ასეთი დოკუმენტები).
3. შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომს “ეპიკური” ხასიათი აქვს, რამდენადაც დ-რმა ენობმა უდიდესი რუდუნებით მოას-

წრო ჩაენერა და გამოსაცემად მოემზადებინა მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც გაქრობის საფრთხის წინაშეა, რამდენადაც სწრაფად მცირდება “თავსილის” მკოდნე ხახამთა რიცხვი, და სამწუხაროდ, სულ რამდენიმე წელიწადში აღარც იქნებიან ისინი.

4. “თავსილის” უპირველესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართველ ებრაელთა ისტორიის შესასწავლად, არამედ “თანახის” თარგმანების ისტორიის, ებრაული ენებისა და მათი თეორიის საკვლევად.

5. დიდად საშური ჩაენერისა და კვლევის გაგრძელება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროფ. ენობს დაასრულეს “ბერეშითის” წიგნის თარგმანის კვლევას, განაგრძობს თორის თარგმანის მკოდნე ხახამთა ჩაენერას და “თორის” ყველა სხვა წიგნის კვლევასაც “თავსილის” მიხედვით.

აპარონ მაჰანი
სივანი, 2008

წინასიტყვაობა

ასეული წლის განმავლობაში ქართველ ებრაელთა სამეტყველო ენაზე შეიქმნა თორის ზეპირი ტრადიციული თარგმანი – თავსილი. ეს თარგმანი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქართველ ებრაელთა სარწმუნოებრივ ცხოვრებაში. თარგმანის შესწავლა და მისი გამოკვლევა რამდენიმე დარგისთვის არის მნიშვნელოვანი, ესენია: ქართველ ებრაელთა ისტორია, მათი მეტყველების ანალიზი (და ამდენად, საერთოდ, ებრაელთა ენების შესწავლა), ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის კვლევა და, ბოლოს, თანახის (ძველი ალექსისის) თარგმანების შესწავლა.

ქართველ ებრაელთა სალოცავებში შაბათის საკვირაო საკითხავს (ფარაშას) ივრითზე კითხულობდნენ სეფერ-თორაში (ქართველ ებრაელთა მეტყველ-

ბაში არსებობს ნათელი გამოყენება: **თორა** = ლოცვების წიგნი, ხოლო **სეფერ-თორა** = თორის გრაგნილი). ქართული თარგმანი (თავსილი) გამოიყენებოდა საშაბათო “დარაშებში”, “დებრეთორაში” (სხვადასხვა შემთხვევებში). როგორც წესი, ხახამი უკითხავდა ჯამათს ნანყვეტს ივრითზე და თარგმნიდა ქართულად, ზოგჯერ კი პირდაპირ ქართულ ტექსტს წარმოთქვამდა. “თალმიდები” (ერთი მნიშვნელობით “თალმიდი” ისაა, ვინც ხახამისთვის ემზადება) თავსილს საფუძვლიანად სწავლობდნენ. დასავლეთ საქართველოს ებრაელები ამბობდნენ იმ თალმიდის შესახებ, ვინც თავსილს სწავლობდა: **თავსილზე ჯის**, იყენებდნენ აგრეთვე გამოთქმას – **თავსილზე და**.

ხახამ აბრამ გაგულაშვილმა, რომლისგანაც ჩვენერე ბერეშითის თარგმანის სრული ტექსტი, ჩანერის დანყებისას განაცხადა: “მე, ხახამ აბრამ გაგულაშვილმა, ბერეშის ქართველ ებრაელთა თემის – გამრავლდეს და გაძლიერდეს – რაბინმა, ვისწავლე სახელგანთქმულ რაბინ ხახამ ბეციონ ეფრემაშვილისაგან (სამარადისო განსვენება მას). მიხდა მის მიერ ნასწავლების ასლი გაკეთო ძველ ქართულ ენაზე, როგორც ვისწავლე. რამდენიმე მონაკვეთი ჩავინერე **ხახამ სიმონ ელიშაყაშვილისაგან** (ამდოდი). ერთ-ერთი ჩანერისას მანაც აღნიშნა: “ესაა ძველი ქართული, როგორც გვასწავლიდნენ”.

➔ მე-4 გვ.

ყოველთვიური საერთაშორისო მიმოხილვა რუბრიკას უძღვება თეზურ ნაკობაშვილი



— რაც უფრო ახლოვდება ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები, მით უფრო დინამიური ხდება მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობები და რამდენიმე მიმართულებით ახდენს თავის განვითარებას. ძალიან მნიშვნელოვანი იყო გაზაფხულის პერიოდი, რომელიც დახუნძლული გახლდათ მოვლენებით, ამ მოვლენებს შორის გამოვარჩევი ე.წ. “ზიმბაბვეს პრობლემას”, რომელიც ძალიან ხახამისათომ პრობლემად, არა მარტო იმიტომ, რომ სადაც აფრიკაში ვიღაც დიქტატორი ცუდად იქცევა, არამედ იმით, თუ როგორ ეპყრობა ამ დიქტატორს დანარჩენი მსოფლიო. გამოიკვეთა ძალიან საინტერესო ტენდენციები. იმ ფონზე, როდესაც ანტი-ამერიკანიზმი შემოვიდა მოდაში, აღმოჩნდა, რომ დანარჩენი მსოფლიო ლიდერი სახელმწიფოები, მაგალითად, რუსეთი და ჩინეთი, ძალიან ეფექტურად ბლოკავენ

კონფლიქტი აქტიურ ფაზაში გადავიდა

გაეროს რეზოლუციებს ზიმბაბვეს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ასეთი კითხვა ისმის: ამერიკა შეიძლება შეცდომებს უშვებდეს, მაგრამ რუსეთის და ჩინეთის დომინანტობა გვაძლევს თუ არა უკეთეს მსოფლიოს, როდესაც აშკარა პირისხლიან დიქტატორს საშუალებას აძლევენ გამოძვრეს არსებული სიტუაციიდან? მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ზიმბაბვესთან დაკავშირებით არის ის, რომ დიდი რვაიანის შეხვედრაზე, რუსეთის პრეზიდენტი დათანხმდა სანქციებს და გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა თავისი პრეზიდენტის გადაწყვეტილება შეცვალა — სანქციების წინააღმდეგ გამოვიდა. აქედან გამომდინარე, ჩნდება ძალიან ბევრი კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვის ხელშია დღეს რეალური ხელისუფლება რუსეთში, ვის ხელშია ისეთი სფერო, რომელიც კონსტიტუციით პრეზიდენტს ეკუთვნის და არა პრემიერს. აღმოჩნდა, რომ ეს სფერო ჯერ-ჯერობით არ არის რუსეთის პრეზიდენტის ხელში. შესაბამისად, რთულდება რუსეთთან ურთიერთობა, იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან ძნელია გაარკვიო თუ ვის უნდა ელაპარაკო რუსეთში, რომ მიიღო გადაწყვეტილება, ამგვარი სიტუაცია ჩვენს მიმართებაშიც პოვნებს ასახვას, ჩვენს კონფლიქტებთან მიმართებაშიც. საქართველოს პრეზიდენტი, მის, სააკაშვილი ოთხჯერ ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტს, ა. მედვედევს, ორჯერ — პირადად და ორჯერ ტელეფონით, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ

დადებით დინამიკას, ამასთანავე, ძალიან საყურადღებოა ის გარემოება, რომ დანარჩენ მსოფლიოში აშკარად გამოიკვეთა ორი სერიოზული კრიზისი. პირველი გახლავთ ნავთობის ფასები. მეორე: სურსათის ფასების კრიზისი. ფაქტია, რომ ეს ორი გარემოება ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასახელოთ სხვადასხვა ფაქტორები: ერთი, ასე ვთქვათ, სპეკულაციური — მიდის ნავთობის ფასების სპეკულაცია, მეორე ის, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც ადრე მოჰყავდათ საკვები პროდუქტები, ახლა მოყავთ ეთანოლის სპირტის საწარმო კულტურები. შესაბამისად, შემცირდა საკვები კულტურების წარმოება. ჩინეთში და ინდოეთში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა, რაც თავისთავად ითხოვს დამატებით საკვებს, დამატებით ენერჯიას, რამაც გამოიწვია ორივე სფეროში ფასების ზრდა. უკვე სახეზეა შეჩერება ეკონომიკური ზრდისა, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. ვილაცა შეიძლება ეგონოს, რომ ეს კარგიც არის, უნდა უხაროდეს ასეთი სერიოზული ზრდა ფასებისა, მაგრამ მე ვიტყვოდი, რომ ეს არის არასერიოზული გათვლები, იმიტომ, რომ მთლიანად ჩინეთის და ინდოეთის ეკონომიკა დამოკიდებულია დასავლეთზე, იმიტომ, რომ მათი რეალიზაციის ბაზარი, მომხმარებელი პრაქტიკულად არის დასავლეთში. ამიტომ თუ იქ იქნა ფასების ზრდა შესაბამისად მყიდველიც არ ეყოლება.

საყურადღებოა რუსეთის როლის ცვლილება საერთაშორისო არენაზე — როდესაც რუსეთი ცდილობს უფრო აქტიური და ყურადსაღები გახდეს დანარჩენი მსოფლიოსათვის. სამწუხაროდ, მეთოდი, რომლითაც ის ამას აკეთებს, არის ყველასათვის მოულოდნელი. მე ვფიქრობ, რუსეთმა იმის ნაცვლად, რომ მოეხერხებინა რეგიონულ მთამაშედ გადაქცევა, მოახერხა ის, რომ ყველა გადამიშტერი: დანყებული მისი ახლო მეზობლებით, დასავლეთით დამთავრებული. ყველა შემფოთებით უყურებს რუსეთის ქცევას, როგორც მსოფლიო არენაზე, ასევე უშუალოდ სამეზობლოში: საქართველოში და უკრაინაში. ჩვენ უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ პერიოდი, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით გაყინულ კონფლიქტებზე, დამთავრდა, არავითარი გაყინული კონფლიქტი აღარ არის, ისინი გადავიდნენ აქტიურ ფაზაში. ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ოკუპაციის, ანექსიის მცდელობებთან, რაც, რალა თქმა უნდა, მშვიდი ძილის საშუალებას არ იძლევა არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ.

ამ მდგომარეობაში, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია დასავლეთის კონსოლიდირებული მიდგომები კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოხდა საერთაშორისო არენაზე, არ ყოფილა ბოლო 15 წლის განმავლობაში. ევროკავშირი, ეუთო, გაერო, ყველა კრიტიკულად აფასებს რუსეთის

ჩაინერა
თინათინ შინგალია

რას ვპითხვობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლეჰინი

გაბოთ



ქალიშვილი 2. მან ქალიშვილი მთებში, გამოქვავებულში გამოამწყვდია და მარტო ცხოვრება მიუსაჯა, მას არ შეეძლო ადამიანებთან ურთიერთობა, გათხოვება. მაგრამ ისმის კითხვა, რატომ არ მიმართა იფთახმა თორის მცოდნე ბრძენს ნედერის საკითხის გადასაჭრელად? გვიხსნიან, რომ მან არ მოინდომა ფინხასთან წასვლა, რადგან თვლიდა, რომ მეფეს არ ეგების წინასწარმეტყველთან მისვლა. ფინხასი კი თვლიდა, რომ წინასწარმეტყველს არ ეგების მეფესთან მისვლა.

„და ელაპარაკა მოშე ტომის მეთაურებს“. თორის კომენტატორი რაში გვიხსნის, რომ მოშე თორას ჯერ ტომის მეთაურებს ასწავლის, რითაც მათ პატივს მიაგებს, შემდეგ ყველა ებრაელს. როცა ებრაელებს იფთახი მართავდა, მან ძალიან უცნაური ნედერი (ალექსის დადება) შეუთქვა გამჩენს. თქვა, რომ თუ ის მტერზე გაიმარჯვებს, მაშინ გამჩენს შესწირავს იმას, ვინც პირველი გამოვა მისი სახლის კარიდან. კარიდან კი მისი ქალიშვილი გამოვიდა და არსებობს ორი აზრი იმაზე, თუ რა მოიშობებოდა იფთახმა: 1. მან შესწირა

ის იფთახთან მივიდოდა, იფთახი დაინახავდა მის თავმდაბლობას და თვინიერებას და სცნობდა მის ავტორიტეტს. მოშე რაბინიუ ხომ თავად ეწვია დათანხა და ავირამს კორახის აჯანყების დროს იმ მიზნით, რომ მათ გულებს მოათინიერებდა.

და ასევე, როცა ებრაელები ხედავდნენ, თუ რა პატივს მიაგებდა მოშე რაბინიუ ტომის მეთაურებს, ასწავლიდა რა თორის ჯერ მათ, თავადაც ხრიდნენ თავს მათ წინაშე. მაგრამ ტომის მეთაურნიც გამჩენის მორჩილი იყვნენ. ასევე ხალხშიც, ადამიანების თავმდაბლობა და მორჩილი ხასიათი ამაღლებდა მათ ავტორიტეტს და ამით ისინი უფრო დიდ გავლენას ახდენენ თემზე.

„იმ კი იადარ ნედერ“ – ადამიანი როცა დადებს ალექსას... ადამიანს ცხოველისაგან მტყვევების უნარი განასხვავებს. შეცდომა იქნება, თუ ჩავთვლით, რომ სიტყვებს ძალა არა აქვთ. მათ კოლოსალური ძალა აქვთ. ამიტომ, საკუთარ სიტყვებს ძალიან დიდი ყურადღებით უნდა დაუვიყვირდე. ნედერის კანონებიდან ვხედავთ, რომ ადამიანს საკუთარ ბაგეთა ძალით შეუძლია საკუთარ თავს აუკრძალოს რაიმე და ეს მისთვის თორის აკრძალვის ტოლფასი იქნება, თუმცა, თავისთავად ის, რაც მან საკუთარ თავს აუკრძალა, სხვებისათვის სულაც არაა აკრძალული. სიტყვის ძალის გასაგებად ასეთ რეალურ ისტორია-

რიას გვიამბობთ: ერთხელ, ქორნილის დროს გარდაიცვალა სიძის დედა. ის ცეკვის დროს დაიღუპა. რა იყო ამის მიზეზი? სიძე – გარდაცვლილის ვაჟი მესამედ დაქორწინდა. პირველ ცოლს ის გაეყარა, მეორე კი – მოუკვდა. დედა კი, შვილისათვის კეთილმსურველი იყო და სთქვა: „მე ვლოცულობ, რომ ამქვეყნიდან ისე არ წავიდე, შვილის ქორნილი რომ არ ვნახო.“ და, თუმცა, ის ამას იმედით და ლოცვით წარმოსთქვამდა, ალბად, აკრძალულია ასეთი სიტყვებით ლოცვა.

მსგავსი ისტორია ქალაქ ფეთახ—ტიკვაშიც მოხდა: როცა ეს ქალაქი დააარსეს და პირველ სასაფლაოს აკეთებდნენ, ერთმა ახალგაზრდამ ხუმრობით წარმოსთქვა: „მე წინააღმდეგი არა ვარ ამ ქალაქში პირველი მიცვალებული ვიყო“. იმავე კვირაში ის გარდაიცვალა. ეს ისტორია კი მისი საფლავის ქვაზეა ამოტვიფრული.

როდესაც რაბი რაიზენერს ასაფლავებდნენ, მისი ერთ-ერთი მეგობარი ყვიროდა: „მე არ შემიძლია უმისოდ, მე ისე ძალიან მენატრება ის, რომ უკვე ვეღარ ვძლებ.“ ეს ადამიანი იმავე დღეს ავტოკატასტროფაში მოხვდა და დაიღუპა.

მეორეს მხრივ, სიტყვას დადებითი ძალაც გააჩნია კარგი გავებით. ამიტომ ადამიანი ყოველთვის უნდა ეცადოს სხვათა კურთხევა დაიმსახუროს. ერთ ხასილურ ისტორია-

ში მოთხრობილია მამაკაცზე, რომელიც თავის რებესთან წავიდა დღესასწაულზე. ადგილზე დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა. რაბიმ დაინახა და უთხრა შინ წასულიყო. ხასიდს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ არაფერი ჰკითხა და უკან გაბრუნდა. გზაში მას სხვა ხასიდები შეხვდნენ. ისინიც რებესთან მიდიოდნენ. ყველანი ერთად სამიკიტნოში შევიდნენ, კარგად ჭამეს და სევს და რებესთან წავიდნენ. მეორედ რებემ ხასიდი მიიღო და დღესასწაულის შემდეგ ასეთი რამ უთხრა: „პირველად რომ ჩამოხვედი, შენს გვერდით „მალახ ჰამავეთი,“ (სიკვილის ანგელოზი) დაეინახე და სახლში გაგიშვი, რადგანაც არ მინდოდა აქ მომკვდარიყავი. მაგრამ მეორედ რომ ჩამოხვედი, ის აღარ გახლდა. ხასიდმა უამბო, თუ რა გააკეთა გზაში. რებემ უთხრა: „სმის დროს ალბათ, იმდენჯერ გითხრეს ლეხამ (სიკვილეს „გაუმარჯოს,“) რომ სიკვილის ანგელოზი ამ სიტყვამ, დალოცვამ გააძევა.“

გამჩენმა ქნას, რომ ჩვენი ბაგენი სავსე იყოს ლოცვებით, ფსალმებით (გამჩენის განდიდებით) და თორის სიტყვებით. ნედერის (ალექსის) თქმას კი მოერიდეთ. განსაკუთრებით ჩვენს დროში, როცა ხალხი ისეთი ძლიერი აღარაა, და შეიძლება, გამჩენმა ნუ ქნას, ვერ შეასრულოთ იგი.



მინიმალური ხელფასის თაობაზე

ისრაელში პირველი ივლისიდან დაიწყო მინიმალური ხელფასის ახალი ზღვარი — მოზრდილმა ადამიანებმა, რომლებმაც კვირის განმავლობაში იმუშავეს 43 საათი, უნდა მიიღონ არა უმცირეს 3850 შეკელისა თვეში. აქამდე არსებულ ზღვართან შედარებით ზრდა 140 შეკელია თვეში. საათობრივი ანაზღაურების ახალი მინიმალური ზღვარი გახლავთ 20.70 შეკელი ექვსდღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში, ხოლო თუ სამუშაო კვირა ხუთდღიანია, 17.70 შეკელი.

ახალგაზრდობის მინიმალური ხელფასი წესდება შემდეგნაირად. 16 წლამდე ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ მინიმალური ხელფასის 70% (ე.ი. 2695.13 შეკელი თვეში, 15.58 შეკელი საათში). 16.17 წლის ახალგაზრდებმა — მინიმალური ხელფასის 75% (2887.63 შეკელი თვეში, 16.69 შეკელი საათში), 17-18 წლის ახალგაზრდებმა — 80% (3195.65 შეკელი თვეში, ე.ი. საათში 18.47). მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მინიმალური ხელფასის არა უმეტეს 60% (2310.11 შეკელი. ე.ი. საათში 13.35 შეკელი).

შეზღუდულ შესაძლებლობათა მუშაკებმა (ინვალიდებმა) უნდა მიიღონ არა უმცირეს:

25-50% — ინვალიდობის შემთხვევაში მინიმალური ხელფასის არა უმცირეს 75%-ისა. (2887.63 შეკელი თვეში).

50-70 %-იანი ინვალიდობის შემთხვევაში მინიმალური ხელფასის 50% (1925.09 შეკელი თვეში).

70% მეტი ინვალიდობისას მინიმალური ხელფასის მესამედი (1283.40 შეკელი თვეში).

პარლამენტარები მოსკოვში

მოსკოვში გაიმართა რუსულენოვანი ებრაელთა მსოფლიო კონგრესის საპარლამენტო კლუბის წევრთა შეხვედრა. ეს

კლუბი აერთიანებს რუსულენოვან ებრაელ პარლამენტარებს როგორც ადრეული წლებისას, ისე ჩვენი დროისა. კლუბში აგრეთვე გაერთიანებული არიან იმ ქვეყნის ექსპერტები, რომელშიც ცხოვრობს რუსულენოვანი ებრაელები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ისრაელელი პარლამენტარები. მოსკოვში ყველაზე მეტი პარლამენტარი სწორედ ისრაელიდან ჩავიდა. შეხვედრებს ხელმძღვანელობდა რუსულენოვან ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრი ბორის შპიგელი.

მოსკოვური შეხვედრებისას კლუბის წევრმა რუსულენოვანმა პარლამენტარებმა განიხილეს საპარლამენტო ურთიერთობების საკითხები, ჰქონდათ დისკუსია რუსულენოვანი ებრაელების აქტიურად საკითხებზე, შეხვდნენ რუსეთის ადმინისტრაციის ხელისუფლების ოფიციალურ პირებს, სახელმწიფო დუმისა და ფედერაციის საბჭოს წევრებს.

მოსკოვის შეხვედრა რიგით მეორე გახლდა. მარტში ებრაელი პარლამენტარები კიევში შეხვდნენ ერთმანეთს.

ასეთ შეხვედრებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. შეხვედრები საშუალებას მოგვცემენ წინ წავწიოთ რუსულენოვანი ებრაელების პრობლემების მოგვარების საკითხები — განაცხადა რუსულენოვანი მსოფლიო კონგრესის ისრაელის სექციის თავმჯდომარემ გენადი რიგერმა.

ცენტრალური სტატისტიკური ბიურო უბრალოდ ითვლის

ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიურო გეგმავს ქვეყნის მოსახლეობის აღწერას. საუბარია ფართომასშტაბიან აქციაზე, რომელიც ტარდება 10 წელიწადში ერთხელ იმისთვის, რომ შეაგროვოს რუსული ოფიციური ინფორმაცია ისრაელის მოსახლეობის რაოდენობაზე, მის შემადგენლობაზე, იმაზე, თუ როგორია მათი ცხოვრების

პირობები, დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. ცსბ-ემ აქცია რამდენიმე ეტაპად დაჰყო: ბიუროს მომზადება, შენობათა რეგისტრაცია, მოსახლეობასთან ინტერვიუები და სატელევიზიო გამოკითხვა. მოსამზადებელი ეტაპი მაისში დაიწყო და 2008 წლის დეკემბრამდე გასტანს.

ახალწესულთა რაოდენობა მცირდება

ისრაელის პოლიტიკაში ერთობ ცნობილი პირებს დაუსვეს შემდეგი სახის შეკითხვა: — „ცახალმა“ გამოაცხადა, რომ მომავალი წლიდან მოსალოდნელია სამხედრო სამსახურისთვის ვარჯის ახალგაზრდობის სისტემატური შემცირება. რას უკავშირდება ყველაფერი ეს და რა უნდა გაკეთდეს ამ ტენდენციის შეცვლისთვის?

შაულ მოფაზი (ტრანსპორტის მინისტრი, პარტია „კადიმა“)

ეს არის ეროვნული პრობლემა, და ყოველ ჩვენგანს ძალთა შემჭიდროებას კარნახობს, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს მოქმედების გეგმა. უნდა დავიწყოთ განათლების სისტემით. სამხედრო სამსახურის სიმძიმე თანაბრად უნდა გადანიღდეს საზოგადოების ყველა ფენაზე და ამით უნდა შემსუბუქდეს ახალწესულთა მძიმე ტვირთი. ისრაელის ყველა მოქალაქე უნდა გრძობდეს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს, ისტორიის წინაშე.

ზაიმ ორონი (ქნესეთის დეპუტატი პარტია „მერეცი“)

აქ სამი ფაქტორი მოქმედებს: ახალწესულთა რაოდენობა ყოველ წელს იცვლება, სტატისტიკაზე ზეგავლენას ახდენს ის, რომ მზარდი ულტრაორთოდოქსალური სექტორი არ მონაწილეობს ქვეყნის სამხედრო ცხოვრებაში. ამას ჩვენი ფრაქცია თანმიმდევრულად ებრძვის. არ შეიძლება მოქალაქე განთავისუფლებული იქნეს „ცახალმა“ სამსახურისაგან მხოლოდ იმის გამო, რომ ის არის ხარედი (ღრმად მორწმუნე. რედ.). საგანმანათლებლო სისტემის


ჩაყარდნაც თავის სიტყვას ამბობს. აუცილებელია ამ სისტემის კაპიტალური შეცვლა.

მოწმის სუთი დღე

„კონვენტის საქმესთან“ (ისრაელის პრესამ ასე უწოდა პრემიერ ოლმერტის საქმის გამოძიებას. რედ.) დაკავშირებით ადვოკატებმა მოსამართლე დაარწმუნეს, რომ მორის ტალანსკის დაკითხვას დასჭირდებოდა 5 სასამართლო სხდომა, თითოეული სხდომა კი 8 საათის ხანგრძლივობისა უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფო პროკურატურამ უარყო ადვოკატების თხოვნა ტალანსკის ვერსიის ხელახლა გადამოწმებასთან დაკავშირებით. ადვოკატების წინადადებაზე უარი მოტივირებული იყო იმით, რომ მასალები გადმოგზავნილი იყო ერთი კვირით ადრე და ჯერაც შეუსწავლელი გახლდათ საგამომძიებლო პოლიციის მიერ დაკითხვის დროს დაცვის მხარის რაოდენობა შემცირდა. ერთ-ერთმა ადვოკატმა — პროფესორმა რონ შაპირმა სახელმწიფოს მეთაურს აპულ ოლმერტს შეატყობინა, რომ ის მეტად აღარ მიიღებდა მონაწილეობას „კონვენტის საქმეში“. შაპირმა განმარტა, რომ დაკითხვის სამზადისი დამთავრდა და პრემიერს ამდენი დამცველი არ სჭირდება.

„შემოწმების დასრულებულია“ — მორის ტალანსკიმ ისრაელში თავის ადრინდელი ვიზიტის დროს განაცხადა, რომ „კონვენტის საქმეში“ მოწმედ გამოსვლა სიონისტური მოსაზრებებით გადაწყვიტა. ტალანსკის მიერ სახელმწიფოს მეთაურის ეპულ ოლმერტის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის გამო ამერიკულ პრესაში გამოჩნდა პუბლიკაცია მენარმის წარსულთან დაკავშირებით. გამოფრული იქნა საიდუმლო აუდიო ჩანაწერები, რომელშიც ტალანსკი წარმოჩენილია როგორც მკაცრი მენარმე, თავისი მიზნის მისაღწევად მუქარისა და ზენოლის, სხვა მეთოდებს რომ არ გაუზრდობდა.



ქ. ფოთის საკრებულომ დააკაცოებულა "საბაღ ლუბაჯიხის" საქართველოს განყოფილებისა (ა. მიხელაშვილი) და ებრაული თემების კავშირის (რ. მესხინაძე) თხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ფოთის ბეით-ქნესეთს მიხილებოდა ცნობილი ქვეყნმშენის, ღირსეული ბიროვნების, ამავე ქალაქის საბაგით მოქალაქის – შოთა მესხინაძის სახელი.

დღედან ფოთის ბეით-ქნესეთი შოთა მესხინაძის სახელს ატარებს. უახლოეს ხანს გაიმართება შენობაზე სათანადო დაფის მიკერის სახეობითი ტერმინალი.

გამარჯვება პრაიმერიზში

შემოდგომაზე ისრაელში ჩატარდება მუნიციპალური არჩევნები. არჩევნების სამზადისი უკვე დაიწყო.

15 ივლისს ჩატარდა პრაიმერიზი პარტია „ლიკუდში“. პრაიმერიზს უნდა გამოველინა, თუ რომელი კანდიდატი იყრიდა კენჭს პარტია „ლიკუდის“ სიით ამქვეყნის მერის თანამდებობაზე.

პრაიმერიზში გამარჯვება მოიპოვა შაბთაი ცურმა (ცოციაშვილმა), რომელიც სამ წელიწადზე მეტი გახლდათ ისრაელის ელჩი საქართველოში.

ასე რომ, შაბთაი ცური „ლიკუდის“ სიით აგრძელებს ბრძოლას ქ. ამქვეყნის მერობისათვის.

ამ ქალაქში მერობისათვის იბრძობებს აგრეთვე ქართველი ებრაელი შაბთაი ბირანი (პარტია „კადიმა“), ქალაქ ორ-იუდაში ძალებს სცდის ასევე ქართველი ებრაელი ქალბატონი ნანა ხენი, რომელიც ამჟამად მუნიციპალიტეტის წევრია.

აბიხია გარეშე

მსოფლიოს ებრაულმა კონგრესმა (მეკ-ი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადასცა პეტიცია, რომლითაც მოითხოვს გაერომ გააძლიეროს ბრძოლა ანტისემიტისმისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების წინააღმდეგ — პეტიციის 200 ათასი ხელმოწერილი შეშფოთებული მსოფლიოში ანტისემიტისმის ზრდით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდებენ დაადასტურონ 2004 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ვალდებულება, უკომპრომისოდ ებრძოლოს ამ უძველეს სენს — განაცხადა მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა რონალდ ლაუდერმა.

მეკ-ის ჩრდილოეთ ამერიკის განყოფილების თავმჯდომარე რაბინი მარკ შნეერი აცხადებს, რომ პარიზში ახალგაზრდა ებრაელ რაბინზე თავდასხმა ადასტურებს ამ მიმართვის აქტუალობას.

— ამა თუ იმ ქვეყანაში ებრაული თემების უშიშროება არა მხოლოდ რწმენის თავისუფლების საკითხია, უწინარესად, თანამედროვე სამყაროში ადამიანის უფლებათა საბაზისო პრინციპია — თქვა რაბი შნეერმა.


→ მე-6 გვერდიდან

სამწუხაროდ, თავსილი ჯერაც არ გამხდარა სერიოზული მეცნიერული კვლევის საგანი, უკანასკნელ დრომდე არ მოგვეპოვებოდა ტექსტის ჩანაწერებიც, რომელთაც შეეძლოთ კვლევის საფუძვლის როლი შეესრულებინათ. მეტად მნიშვნელოვანი და საშური ამოცანაა ქართველ ებრაელთა თემის მკვლევართათვის და, საერთოდ, ძველი აღთქმის თარგმანთა შემსწავლელთათვის თავსილის სრული ტექსტის გამოცემა: დღეს თითქმის აღარავინ სწავლობს თავსილს, რამდენადაც თარგმანის გამოყენების საჭიროება თანდათან მცირდება, რაც უფრო მეტი ქართველი ებრაელი ლაპარაკობს ივრითს. რამდენიმე წლის შემდეგ საერთოდ აღარ იქნება შესაძლებელი ვინმესგან ჩანერა; ისიც ყურადსაღებია, რომ იმაშიც, რის ჩანერაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, უამრავი ცვლილება ხდება.

თავსილის ჩალრმავეული კვლევა მოითხოვს მსჯელობას რიგი მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ და ზოგიერთი მათგანის გადასინჯვას (ბიბლიის ქრისტიანული თარგმანების საკითხი, თარგმანის ორიგინალი, ივრითის გავლენა ძველ ქართულ ენაზე და სხვა). ამ საკითხთა ნაწილი ისევე, როგორც თავსილის ნარმოქმნის პრობლემა, არასოდეს გამოკვლეულა. გამოკვლევა, რომელიც ტექსტს მოჰყვება, ორ ქრისტეანულ ნარმართებას — ისტორიულსა და ენათმეცნიერულს.

ებრაელები საქართველოში ორი ათას წელზე მეტს ცხოვრობდნენ. ყველა სიძნელის მიუხედავად, მათ შეინარჩუნეს ებრაელობა, ასრულდნენ მიცევებს და ღმერთის წინაშე ლოცულობდნენ წმინდა ენაზე ("ლაშონ ჰაკოდემ"). უმეტესობამ არც იცოდა ივრითი, არ ესმოდათ ლოცვების ტექსტი

(რაბინები ცდილობდნენ აეხსნათ მათთვის ქართულად), მაგრამ მაინც განაგრძობდნენ ლოცვას იმიედით, რომ ერთ დღეს ისრაელი დაუბრუნდებოდნენ აღთქმულ მიწას, მანამდე კი საჭირო იყო მათა სარწმუნოების შენარჩუნება და მომდევნო თაობებისათვის გა-



დაცემა.

ქართველ ებრაელთა ისტორია ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი. არ არსებობს საერთო თვალსაზრისი საქართველოში ებრაელთა მოსვლის, მათი მიგრაციებისა და ამ ქვეყანაში განსახლების სახეობათა თაობაზე, ებრაელთა როლის შესახებ მის ისტორიაში, ებრაულ სამყაროსთან კავშირებზე და ა. შ. არ არსებობს ბევრი გამოკვლევა არც ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ. არ არის შესწავლილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ებრაელთა სახლობის აშკარა კვალიც კი, რასაც ჩვენ ვპოულობთ თქმულებებში, ადგილების სახელებსა და საკუთარ სახელებში.

თავსილიც არ გამოკვლეულა

და ჩანერილიც კი არ არის. იგი მუდამ იყო ჩვენ შორის, ქართველ ებრაელთა წრეში, და ახლა უკანა რიცხვით ვხედავთ, რომ არც კი მიგვიტყვევია ყურადღება, რომ იგი მხოლოდ ზეპირად არსებობს და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება უბრალოდ გაქრეს.

სიმაართლე რომ ითქვას, საბჭოთა წყობილების პირობებში არც იყო პირობები ამგვარი კვლევის განსახორციელებლად. და მაინც არსებობდნენ საქართველოში ენათმეცნიერნი, რომელთაც გასიგრძელებული ჰქონდათ ივრითისა და ქართველ ებრაელთა მეტყველების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლაში. გამოჩენილმა ენათმეცნიერმა აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, შემომთავაზა ზოგადი გეგმა ქართველ ებრაელთა მეტყველების შესასწავლად, როგორც ნაწილი ქართული დიდიექტოლოგიური კვლევისა. ჩემდა სამწუხაროდ, პროექტი ვერ განხორციელდა, რამდენადაც მოკლე ხანში იგი გარდაიცვალა. სახელგანთქმულ ენათმეცნიერს, თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგეს, აკადემიკოს აკაკი შანიძეს სურდა, რომ ასპირანტურაში სწავლის ჩარჩოებში შემესწავლა ივრითი, რათა გამომეყენებინა იგი ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების შესასწავლად, მაგრამ ვერც ეს გეგმა განხორციელდა. ჩემი უღრმესი მადლობა ამ ორ უდიდეს პიროვნებას. მაშაქემი (სამარადისო განსვენება მას), რომელმაც შეიტყო აღნიშნული გეგმების შესახებ, პირველი გახლდათ, ვინც ნამოყვანა იდეა, რომ, თუ ივრითს კარგად ვისწავლიდი და ქართველ ებრაელთა მეტყველებას გამოვიკვლევდი, შეეძლებდი

შევდგომოდი თავსილის გამოკვლევას პირველად ისტორიაში. მაშინ ეს ჩემთვის თითქმის უტოპია იყო; და, აი, დღეს, თითქმის ათ წელიწადს "შავი სამუშაოს" შესრულების შემდეგ, ვარიანტების შეჯერების, ებრაელებისათვის შესრულებულ ახალ ქართულ თარგმანებსა და ქრისტიანულ ძველ ქართულ და თანამედროვე თარგმანებთან შედარების შემდეგ, მე ვახორციელებ ჩემსა და მაშაქემის ერთობლივ ოცნებას და ვაქვეყნებ თავსილის ნიგნს. ჩემი მამისა და მასწავლებლის შალომ ენუქაშვილის ხსოვნას ვუძღვნი ამ ნიგნს.

მინდა მადლობა გადავუხადო რამდენიმე პიროვნებას, რომლებიც დამეხმარნენ ამ საქმოდ რთულ გზაზე: პროფ. მიხაელ ზანდს, რომელიც პირველი იყო, ვინც გაეცნო ჩემს გეგმას და მხარი დამიჭირა; ქ-ნ ცვია ტუბის, რომელიც დიდად დამეხმარა კვლევის განხორციელებაში; პროფ. ორციონ ბართანას, რომელმაც რიგი სასარგებლო რჩევა მომანოდა; ან განსვენებულ პროფ. შლომო მორაგს, ბატონ ნოდარ პალაგის ნიუ-იორკიდან და პროფ. ისრაელ ხანუქოგლუს (ენუქაშვილს), რომლებიც მახალისებდნენ სამუშაოს შესასრულებლად. მსურს მადლობა მოვახსენო არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის ხელმძღვანელებს, რომლებიც ყოველწლიურად მიწყობენ ხელს. მაქვს სასიამოვნო მოვალეობა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ვაჟს ელი ენოხს, რომელმაც უდიდესი დახმარება გამინია ტექნიკური საკითხების გადაჭრაში. და, რა თქმა უნდა, ჩემი განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის სამ რაბინს ჩვენი თემისას, რომელთაც განაგებენ ჩვენი ბერეჰითის წიგნის ტრადიციული თარგმანის ტექსტი: ხახამ აბრამ გაგულამვილს, რომლისგანაც ჩვენივე მთელი ტექსტი

— ეს ჩანანერია გამოცემის ძირითადი საფუძველი, ხახამ სიმონ ელიშაყაშვილს, რომლისგანაც ჩვენივე ბერეჰითის რამდენიმე ფარაშის ფრაგმენტები, და ხახამ შალომ ხენს (იგი წიგნის გამოცემამდე გარდაიცვალა — სამარადისო განსვენება მას), რომლისგანაც ჩვენივე ბერეჰითის ფარაშის ნაწყვეტი. და, ბოლოს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ წიგნის რედაქტორის პროფ. აპარონ მამანის უდიდესი დახმარებისა და ფასდაუდებელი რჩევების გარეშე წიგნი ვერ იხილავდა დღის სინათლეს.

წიგნი ორ ნაწილად გამოიცემა: პირველი წიგნი შეიცავს ბერეჰითის ტექსტს და მეორე ნაწილი (მეორე წიგნი) გამოკვლევას უჭირავს. თარგმანის ტექსტი ნარმოდგენილია ქართული ასოებითა და ლათინური ტრანსლიტერაციით...

ჩემი უმთავრესი ამოცანა გახლდათ ისე განმეღებინა სამი ვარიანტის ტექსტი, რომ ისინი გასაგები ყოფილიყო მკითხველისათვის. ვარიანტები რომ ახლოს იყოს ერთმანეთთან, მცირეოდენი არაარსებითი განსხვავებებით, მათ სქოლიოებში ავსახავდი; მაგრამ განსხვავებანი რიცხვმრავალია, რიგ შემთხვევაში სერიოზული, და მათი მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა ტექსტმა. ამიტომაც თითოეული ვარიანტი ცალკე ნარმოდგინე საკუთარი შენიშვნებითა და ლათინური ტრანსლიტერაციით.

წინამდებარე წიგნი ზეპირად არსებული თავსილის ტექსტის გამოცემისა და მის შესახებ მსჯელობის პირველი ცდაა. ჩემთვის ნათელია, რომ განხილვა მრავალი შეკითხვა და საქმიანი შენიშვნა. მათ სიამოვნებით მივიღებ.

დამფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 1 ხა, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57



რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921



რედაქტორი გურამ ბათიაშვილი